ჩავიფიქრე სიტყვა

მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მასწავლებლის მიერ ნაკარნახევი, ბგერებად დაშლილი სიტყვა და გამოიცნონ, რა სიტყვა ჩაიფიქრა მასწავლებელმა.

კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე წამღერებით ეუბნება ბავშვებს:

მე ჩავიფიქრე სიტყვა,

აბა, დამიგდეთ ყური,

სულ არის ხუთი ბგერა,

სულაც არ არის რთული:

ს _ ა _ ხ _ ლ _ ი

- ბავშვებმა უნდა გაამთლიანონ მასწავლებლის/თანაკლასელის მიერ ნაკარნახევი ბგერები, გამოიცნონ, რა სიტყვაა ჩაფიქრებული და უპასუხონ:

თქვენ ჩაიფიქრეთ სიტყვა,

ჩვენ კი დაგიგდეთ ყური,

სულ არის ხუთი ბგერა,

სულაც არ არის რთული,

სახლი

შენიშვნა: აქტივობის დაწყება სასურველია ხშირი სამ- და ოთხბგერიანი სიტყვებით. მასწავლებელმა ხშირად უნდა ცვალოს სიტყვები და თანდათანობით გაართულოს ისინი.